აირჩიეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელები

დავით დარჩია
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ლავრენტი ბიგვავა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ტარიელ აროშიძე
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ნათია გოლიაძე
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 40 (10410) 9 დეკემბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთის საკრებულოს პირველ სხდომაზე კომისიების და ფრაქციების თავმჯდომარეები აირჩიეს

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიას **ქეთევან ხომერიკი** უხელმძღვანელებს;

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდო-მარედ **დავით ჭაკნელიძე** აირჩიეს;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარედ **გელა ჩავლეშვილი** იქნა არჩეული;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას **ბექა თოიძე** უხელმძღვანელებს;

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს წევრებმა **პაატა კიღურაძე** აირჩიეს.

ოზურგეთის საკრებ-ულოში სამი ფრაქცია შეიქმნა.

ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" -ს თავმჯდომარედ , რომელიც 30 წევრს აერთიანებს, **მარიკა ჩხიკვიშვილი** აირჩიეს.

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" -ს 11 წევრით -**დავით მჟავანაძე** გაუწევს თავმჯდომარეობას;

ფრაქციის "ოზურგეთი საქართველოსთვის", ოთხი წევრით, თავმჯდომარე **ალეკო ბურჭულაძე** გახდა.

ოზურგეთის საკრებულოში 45 წევრია.

ყველაზე ხმაურიანი სხდომა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი რგოლის ისტორიაში

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვი-თარების გათვალისწინებით, უხმაუროდ რომ არ ჩაივლიდა, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ თუ ისეთი აურზაური ატყდებოდა, რომ პოლიციის გამოძახება გახდებოდა საჭირო, ამას, ალბათ, არავინ ელოდა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებს ტრადიცია არც ამჯერად დაურღვევიათ და სხდომაზე დაგვიანებით გამოცხადდნენ მათი ლიდერის გამოსახულებიანი მაისურებით, წარწერით „თავისუფლება მიხეილ სააკაშვილს“. როგორც ჩვევიათ, თავიდანვე დაიწყეს ირონიული რეპლიკები, რაც კარგად ისმის სხდომის ვიდეოჩანაწერში.

ხსენებული პარტიის ადგილობრივმა ლიდერმა **დავით მჟავანაძემ** თქვა, არჩევნები რომ არ გაყალბებულიყო, ამ დარბაზში დღეს უმრავლესობით „ქართული ოცნება“ ვერ იქნებოდა წარმოდგენილიო, შემდეგ „ნაციონალმა“ დეპუტატებმა დარბაზში ბათუმის საკრებულოს ახალგარდაცვლილი დეპუტატის ნუგზარ ფუტკარაძის სურათები ააფრიალეს, მის გარდაცვალებაში „ქართულ ოცნებას“ დასდეს ბრალი, „ოცნებამ“ მკვლელობით მოიპოვა უმრავლესობა ბათუმის საკრებულოში, „ოცნება“ მკვლელების პარტიააო. მოითხოვეს წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ ნუგზარ ფუტკარაძის ხსოვნისათვის.

სხდომის წამყვანი, საკრებულოს უხუცესი წევრი **ლავრენტი ბიგვავა** არ დაეთანხმა „ქართული ოცნების“ მისამართით წაყენებულ ამ მძიმე ბრალდებას, თუმცა იქვე დასძინა, რომ ბათუმის საკრებულოს დეპუტატის ხსოვნას ოზურგეთელი კოეგები პატივს მიაგებენ. ასეც მოიქცნენ. „ნაციონალების“ ამ განცხადებას საპასუხო რეპლიკა მოჰყვა „ქართული ოცნების“ მხრიდან, კერძოდ, დეპუტატ მარიკა **ჩხიკვიშვილისგან,** რომელმაც „ნაციონალების“ ამ ქმედებას პოლიტიკური კეკლუცობა უწოდა და მთავარ ოპოზიციურ ძალას იქით დასდო ბრალი დესტრუქციულ ქმედებაში.

რეპლიკებსა და ურთიერთწაკბენებს ხმამაღალი შეძახილებიც დაერთო, სხდომაზე ქაოსური სიტუაცია კი მას შემდეგ შეიქმნა, რაც მარიკა ჩხიკვიშვილის გამოსვლით გაღიზიანებულმა „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა **გოჩა შარაშენიძემ** განცხადების გაკეთების სურვილი გამოთქვა. სხდომის თავმჯდომარის ნებართვას არც კი დაელოდა, ისე მიიჭრა ტრიბუნასთან:

გოჩა შარაშენიძე: არჩევნები რომ გაყალბდა, ეს იცის ყველამ, 11 წლის ბავშვს რომ გამოიყენებენ...

ლავრენტი ბიგვავა: *მიმართეთ სასამართლოს. ძალიან გთხოვთ, გვაცალეთ მუშაობა.*

შარაშენიშე აშკარად განერვიულებული ჩანს, უწევს ხმას და განაგრძობს:

გოჩა შარაშენიძე: ეს საკრებულო არის არალეგიტიმური, მოსყიდვით, ფულით და ყველაფერი უბედურებით. თქვენი ადგილი აქ არ არის, ძალიან მალე ნახავთ... რაც შეეხება მიშა სააკაშვილს, მიშა სააკაშვილმა ააშენა ეს ქვეყანა...ეს საკრებულო არ არის უფლებამოსილი, 11 წლის ბავშვს რომ გამოიყენებ და ერთ-ერთი მერობის კანდიდატი, რომ...

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებს სპეციალური ტექნიკა და კონტეინერები გადასცეს

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებს სპეციალური ტექნიკა და კონტეინერები გადასცა.

მუნიციპალიტეტებს, სულ, გადაეცათ 8 ნაგავმზიდი, 4 სატვირთო თვითმცლელი მანქანა და 800 კონტეინერი (4 ნაგავმზიდი, 2 სატვირთო თვითმცლელი და 500 კონტეინერი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს; 4 ნაგავმზიდი, 2 სატვირთო თვითმცლელი და 300 კონტეინერი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტს).

ახალი ტექნიკის საშუალებით, მუნიციპალიტეტებში გაუმჯობესდება ნარჩენების შეგროვებისა და მართვის პროცესი. დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მომსახურება კი, მუნიციპალიტეტების კიდევ უფრო მეტი მცხოვრებლისათვის გახდება ხელმისაწვდომი. გამოყენებული იქნება ნარჩენების შეგროვების როგორც კონტეინერული მეთოდი, ისე „ზარის პრინციპით“ შეგროვების მეთოდი - მაღალმთიანი სოფლებისთვის.

სპეციალური ტექნიკა და კონტეინერები მუნიციპალიტეტებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ **მზია გიორგობიანმა** და საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორმა **გიორგი შუხოშვილმა** გადასცეს.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

სახელმწიფო რწმუნებულის ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში **გიორგი ურუშაძის** ხელმძღვანელობით, სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომაზე საბჭოს წევრებმა „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები და მათი დაფინანსების საკითხი განიხილეს;

საბჭოზე, ასევე, ისაუბრეს მუნიციპალიტეტებში რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დაფინანსებული აქტივობების, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და სკოლების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და სახელმწიფო პროგრამის – განახლებული რეგიონების ფარგლებში არსებული პროექტების მიმდინარეობაზე, მუნიციპალიტეტების წინაშე მდგარ სხვა მნიშვნელოვან საკითხებსა და საჭიროებებზე.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომას რწმუნებულის მოადგილეები და ადგილობრივი თვითმმართველობების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“
6 თვით – 15 ლარი;
ერთი წლით – 30 ლარი

სასამართლომ დავით მჟავანაძეს სიტყვიერი შენიშვნა მისცა

ალიონი. 6 დეკემბერს, ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავჯდომარის **დავით მჟავანაძის** სასამართლო პროცესი გაიმართა.

დავით მჟავანაძეს ადმინისტრაციული კოდექსის 166-ე და 173-წ მუხლების საფუძველზე ედავებოდნენ, რაც ხულიგნობას და პოლიციისთვის შეურაცხყოფის მიყენებას, ასევე, სამართალდამცველების კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობას გულისხმობს. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **თორნიკე კაპანაძემ** დავით მჟავანაძეს სიტყვიერი შენიშვნა მისცა.

წინა მოწვევის საკრებულოს ბოლო სხდომა

ალიონი. დეკემბრის პირველ დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინა მოწვევის საკრებულომ თავისი ბოლო სხდომა ჩაატარა.

მიიღეს დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალ-იტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უწოდა.

ცნობებად მიიღეს საკრებულოს წევრების – **გიორგი ღურჯუმელიძის, თამაზ ბურჭულაძისა** და **ვლადიმერ ჩავლეშვილის** უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

როგორც ცნობილია, გიორგი ღურჯუმელიძე, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ, დაინიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ; თამაზ ბურჭულაძე, რომელიც იყო შემოქმედის მაჟორიტარი დეპუტატი, – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლად ამავე სოფელში, ხოლო ვლადიმერ ჩავლეშვილი, მთისპირის უკვე ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი – ოზურგეთის მერის წარმომადგენლად სოფელ მთისპირში.

მერის წარმომადგენლები კიდევ 4 სოფელში დაინიშნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ თალაკვაძემ, ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები დანიშნა და მათთან ადმინისტრაციული ხელშეკრულებები გააფორმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 4 ტერიტორიულ ერთეულში მერის წარმომადგენლებია:

ბაილეთის ადმინისტრაციული ერთეული – **გიორგი ქათამიძე;**

ნაგომრის ადმინისტრაციულ ერთეული – **მიხეილ ცქვიტიშვილი;**

სილაურის ადმინისტრაციულ ერთეული – **გიზო გოგუაძე;**

ბოხვაურის ადმინისტრაციულ ერთეული – **ირაკლი ჩავლეშვილი.**

–„თითოეულ კანდიდატთან განვიხილე რა იქნება მათი საქმიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმები: ყოველდღიური კომუნიკაცია მოქალაქეებთან, პრობლემების დროული მოგვარება და სოფლებისთვის მნიშვნელოვან პროექტებზე აქტიური მუშაობა.“– განაცხადა, ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კონსულტაციები და განხილვები სრულდება. მერის წარმომადგენლების და მათი თანაშემწეების პოზიციებზე მიმდინარეობს დანიშვნების პროცესი და ახლო მომავალში გახდება ცნობილი.

ყველაზე ხმაურიანი სხდომა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი რგოლის ისტორიაში

უნდა ვუსმინოთ ამის ღრიალს, დემაგოგიას? გამოუახეთ დაცვას.

გოჩა შარაშენიძე: *ახლა ქალბატონ მარიკას მივმართავ: ქალბატონო მარიკა კაცურად გეუბნებით... (შარაშენიძის სიტყვებს ფარავს ერთ-ერთი „ნაციონალის“ ხმა: „პოლიციური ხელისუფლება!“*

მარიკა ჩხიკვიშვილი: *წაგება და მოგება ძმებიაო, თქვენ წააგეთ არჩევნები, ბატონო გოჩა და უნდა შეეგუოთ ამას.*

გოჩა შარაშენიძე: *წავაგებდი, ყველა კუთხეში ფულს არიგებდით.*

მარიკა ჩხარტიშვილი: *არანაირად, თქვენსკენ მოიკითხეთ მასეთები.*

გოჩა შარაშენიძე: *აი, გეკითხებით ყველას: დავით დარჩია ჩემი მეგობარია, ბიძინა ივანიშვილის კურსელი რომ არ იყოს, აირჩევდით მესამედ საკრებულოს თავმჯდომარედ? არ აირჩევდით. ტყუილს არაფერს ვლაპარაკობ* (ღრიალებს, თანაპარტიელებიც ცდილობენ, რომ დააწყნარონ).

ლავრენტი ბიგვავა: *გამოუახეთ დაცვას.*

დაცვა: *წამობრძანდით...*

გოჩა შარაშენიძე; *რას ჰქვია წამოვბრძანდე?!*

„ნაციონალები“ არ ანებებენ გაყვანას. აგულიანებენ უფრო.

დაცვა: *გთხოვთ, დატოვოთ დარბაზი.*

გოჩა შარაშენიშე: *რატომ უნდა დავტოვო, შევაგინე ვინმეს, არასწორი ვთქვი თუ რა? დავით დარჩიას პატივს ვცემ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის კურსელი რომ არ იყოს, მესამედ აირჩევდით?*

ლავრენტი ბიგვავა: *ავირჩევდით.*

გოჩა შარაშენიძე: *არ აირჩევდით, ერთმანეთს შეჭამდით, დაჭამდით ერთმანეთს. სააკაშვილმა, რომელმაც ქვეყანა ააშენა, იმას თქვენ მკვლელს ეძახით. ადამიანმა შექმნა სახელმწიფო და სირცხვილია, ყველას შეგრცხვებათ, ინანებთ ამას მერე..*

დარბაზში პოლიციელი შემოვიდა.

პოლიციელი: *დაბრძანდით* და ისე ილაპარაკეთ...

შარაშენიძე კიდევ უფრო უწევს ხმას.

პოლიციელი: *ხმას დაუწიეთ, დაწყნარდით.*

ერთ–ერთი „ნაციონალი“ პოლიციელს: *თქვენ ვინ ხართ?*

პოლიციელი: *შსს გურიის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე,*

ერთ–ერთი „ნაციონალი“: *აქ იყავით წახანე, ყარაული ხართ. გააყალბენ არჩევნები და...*

შარაშენიძეს ხელი ჩაავლეს დარბაზიდან გასაყვანად.

დავით მჟავანაძე: *რას აკეთებ, ბიჭო? (კარებში გადაუდგა) ვინ ხარ შენ?*

პოლიციელი: *დაწყნარდი, თორემ შენაც გაგიყვანთ.*

დავით მჟავანაძე: *ვინ ხარ შენ, მე რომ წამიყვანო? ვინ გეკითხება შენ, ვინ გეკითხება-მეთქი? – გეუბნები. თავმჯდომარე კი არა, „ქართული ოცნების“ დავალების შემსრულებელი ხარ.*

ორივე გაჰყავთ ძალის გამოყენებით. წარმოქმნილი ზედახორის შედეგად, მისაღების კარები იმტვრევა. ჩაჰყავთ კიბეებზე და ისმის გინების კორიანტელი.

– ლეგიტიმური უფლება არ ჰქონდათ, იქნებ გამოდიოდა კაცი. სად მიჰყავთ, რაფერ შეიძლება ეს? უკეთესი იქნებოდა, კრიმინალებს რომ ებრძოდეთ ასე. – ისმის ვიღაცის ხმა.

მჟავანაძე არ ემორჩილება და მას ძალის გამოყენებით სვანენ პოლიციის მანქანაში. მხარდამჭერები მანქანას წინ გადაუდგებიან, მაგრამ მაინც მიჰყავთ.

„ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთმა ადგილობრივმა ლიდერმა **ბესო ქათამაძემ** საკრებულოს სირცხვილად მიიჩნია ის, რაც მოხდა:

–„რაც ხდება და აქ მიმდინარე სიტუაციაზე, რომ არაუფლებამოსილი პირები ძალით ათრევენ დეპუტატებს, ეს უპირველესად, საკრებულოს სირცხვილია. დაცვის სამსახურმა, რომელსაც თანხას უხდის მუნიციპალიტეტი, კეთილი ინებოს და უზრუნველყოს აქ მიმდინარე პროცესები. ამ ხალხს ვქირაობთ ჩვენ. პროცესი, როდესაც საკრებულოზე ისმის დესტრუქციულები ხართ, უზრდელები ხართ, მოდი, რეგლამენტი და შესაბამისი განათლება იქონიონ პირებმა და შესაბამისად მოიქცნენ აქ“.

ქათამაძეს „ქართული ოცნების“ დეპუტატი **ვახტანგ ნიჟარაძე** შეეკამათა: *„ზრდილობაზე ჩვენ მიგვითითებთ? რაც სხდომა დაიწყო, სხდომის წამყვანს „დეიღუპე საცხა, დეიღუპეთ საცხას“ ეძახით.*

ლავრენტი ბიგვავამ სხვა დეპუტატებს აღარ მისცა დებატში შესვლის საშუალება, დაბრძანდით სხდომა განვაგრძოთო, შესთავაზა ქათამაძეს.

ქათამაძემ კი განაგრძო: *„როგორც არჩევნები ჩაატარეთ, იგივე ფორმით წარმართეთ დღეს სხდომა. რა არ იკადრეთ. ბატონო ლავრენტი, რაღაც დესტრუქციული და რაღაც ისეთი რეპლიკების სროლა“.*

– დაბრძანდით! - კიდევ ერთხელ შესთავაზა ბიგვავამ.

– მივდივარ, ასეთი სხდომის ჩატარებას რა აზრი აქვს.

მოკლედ, თავისი პარტიის მისამართით, ბატონმა ბესომ ოპონენტიდან „დესტრუქციულობა“ ვერ აიტანა, მაშინ, როდესაც ამავე სხდომაზე მისმა თანაპარტიელმა, მეგობარმა და კოლეგამ დავით მჟავანაძემ „ქართულ ოცნებას“ მკვლელების პარტია ხართო, უკიჟინა.

დარბაზიდან გასვლისას ქათამაძემ „ოცნების“ ახალი დეპუტატი **ვლადიმერ ხავთასი** „დაარიგა“, რომელმაც ცოტა ხნით ადრე მწვავედ გააკრიტიკა „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატთა სხდომაზე ქმედება: *„პატივცემულო, ჩემი დიდი პატივისცემა თქვენ, მაგრამ შესაბამისად მოიქეცით, როცა შემდეგ საკრებულოზე გამოხვალთ“.*

ამ გაუთავებელი აყალ-მაყალის შედეგად 12 საათზე დაწყებული სხდომა 19 საათისთვის დამთავრდა. შესაბამისად ოზურგეთში ყველაზე გვიან აირჩიეს როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, ისე მუდმივმოქმედი კომისიების და ფრაქციათა ხელმძღვანელები.

იმავე და შემდეგ დღეებშიც აჭრელდა მედიასაშუალებები და სოციალური ქსელი, თუ როგორ შეიჭრა სხდომაზე პოლიცია, როგორ და რატომ დააკავეს საკრებულოს სხდომაზე არჩეული დეპუტატი, როგორ სასტიკად სცემა მისი თანაპარტიელი პოლიციამ, როგორ ცუდად შეიქმნა დაკავებული დეპუტატი იზოლატორში, როგორ დაარღვია საკრებულომ რეგლამენტი და ა.შ. არავის დაცდენია, რა გამომწვევად იქცეოდნენ და პროვოკაციულად მოქმედებდნენ სხდომაზე „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები. საოცარია, რომ ყველაზე მეტად ის მედიასაშუალები და პიროვნებები აქტიორობდნენ, რომლებიც საერთოდ არ დასწრებიან სხდომას, ან პირველივე ინციდენტის შემდეგ დატოვეს დარბაზი, ალბათ, ვებგვერდებზე და ფეისბუკში სკანდალური ნიუსების განსათავსებლად. და, რასაკვირველია, უკან აღარ დაბრუნებულან.

ასე იყო თუ ისე, სარეცენზიო სხდომა ჯერჯერობით ყველაზე ხმაურიანი გამოდგა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი რგოლის ისტორიაში.

ვინ იხეირა ამ ხმაურით ხელისუფლებამ თუ ოპოზიციამ? ამ კითხვას დრო და უახლოესი მოვლენები უპასუხებს. ვინ ვერ იხეირა და ვინ დაზარალდა, ამის თქმა კი ახლავე შეიძლება: ქვეყანამ და ხალხმა ვერ იხეირა, ქვეყანა და ხალხი დაზარალდა, ყელში ამოუვიდათ ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული პოლიტიკური პარტიების ქვეყნის ცენტრსა თუ რეგიონებში მორიგი ქრონიკული გათარეშება.

P.S. ერთში ნამდვილად არ ტყუოდნენ „ნაციონალები“, როცა მათმა დეპუტატმა **შალვა თავდიშვილმა** იკითხა, რამდენად იყო დაცული დარბაზში კოვიდსაწინააღმდეგო რეგულაციები. თუმცა, აჯობებდა წინადღით, ცივილიზებულად და არა რეპლიკით, მიემართა საკრებულოსთვის და ერთობლივად ეზრუნათ ამ საკითხის გადასაწყვეტად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა

3 დეკემბერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქველმოქმედო ასოციაციასა „გურიას“ ეზოში ღონისძიება მოეწყო.

გასართობ შოუ-პროგრამაში მხიარული ანიმატორები მონაწილეობდნენ. ჩატარდა შეჯიბრებები სპორტის სხვა და სხვა სახეობებში.

აქტივობებში ჩართული ყველა მონაწილე მედლებით დაჯილდოვდა. ასევე გადაეცათ საჩუქრები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და დეპუტატის ბიუროსაგან.

ღონისძიებას ოზურგეთის მუნიციალიტეტის მერი, ავთანდილ თალაკვაძე, მაჟორიტარი დეპუტატის მეუღლე, ირინა ბაქრაძე, „სპეციალური ოლიმპიადის“ ეროვნული დირექტორი ლაშა გოცირელი და სხვა სტუმრები ესწრებოდნენ.

ღონისძიება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, დეპუტატის ბიუროს და მოძრაობა „სპეციალური ოლიმპიადის“ დახმარებით ჩატარდა. ღონისძიება კოვიდ რეგულაციების სრული დაცვით ჩატარდა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღე 1992 წლიდან ყოველწლიურად, 3 დეკემბერს, აღინიშნება.

სოციალურ პროგრამებსა და მიგრაციის საკითხებზე იმსჯელეს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ თალაკვაძე დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (**IOM**) წარმომადგენლებს შეხვდა.

–მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონდა დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (**IOM)** წარმომადგენლებთან.

მიგრაცია თითოეულ ოჯახს ახალ გარემოსთან ადაპტირების და გამოწვევებთან გამკლავების წინაშე აყენებს. საცხოვრისი, დასაქმება, განათლების მიღება, სოციალური სერვისები და სხვა აუცილებელი პირობები მიგრაციის დროს, ადამიანებისთვის ხშირად მიუწვდომელია.

დევნილებისა და ეკომიგრანტებისთვის მხარდამჭერი პროგრამები; ეკონომიკური და სოციალური პროექტები და დასაქმების ხელშეწყობა. ეს ის საკითხებია, რაზეც შეხვედრისას ვისაუბრეთ“–აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ თალაკვაძემ.

„ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის შესახებ საერთაშორისო ექსპერტების მიერ მომზადებული კვლევების განხილვა ჩატარდა

დადასასრული დასაწყისი იხილეთ „ალიონი“ №37-39

ბახვი 1 ინფრასტრუქტურის განლაგება ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვართან მიმართებით

თუმცა, კომპანიების მხრიდან გარემოზე მიყენებული ზემოქმედების სიდიდის მსუბუქად წარმოსაჩენად დამკვიდრებული „პროექტების დანაწევრების მახინჯი პრაქტიკის” შესაბამისად, კომპანია გეგმავს ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობის პროექტზე გზშ-ის დამოუკიდებლად ჩატარებას.

როგორც დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა (სკოპინგის შენიშვნებზე რეაგირების ცხრილი, შენიშვნა 22), დაგეგმილი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ქსელში ჩართვა უნდა მოხდეს 110 კვ ორჯაჭვა ახალი გადამცემი ხაზის საშუალებით, შესაბამისად, პროექტის მიერ გამოწვეული სრული კუმულაციური ზემოქმედების შესაფასებლად მნიშვნელოვანია გადამცემი ხაზების მიერ მიყენებული სავარუდო ზემოქმედების გაანგარიშებაც, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი საქმიანობის ზემოქმედების შეფასება, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება ჰესის მშენებლობისა თუ ექსპლუატაციის ფაზებს. კუმულაციურ ზემოქმედებაში გადამცემი ხაზების საკითხის ასახვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ გადამცემი ხაზებისაგან გამოწვეული ზემოქმედება შესაძლოა თავად ჰესის აშენებისა და ოპერირების ზემოქმედებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყოს. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ჰესისათვის შერჩეული ტერიტორიის მაღალ ეკოლოგიურ ღირებულებას. ჰესი ხვდება გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის ფარგლებში, ასევე ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიებისა და სამიგრაციო დერეფნის სიახლოვეს, შესაბამისად, მოცემული მდგომარეობისა და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ელექტროგადამცემი ხაზები ხშირად ხდება დიდი ზომის მტაცებელი ფრინველების, მითუმეტეს, მიგრირებადი სახეობების წარმომადგენლების დაღუპვის მიზეზი, კუმულაციური ეფექტი უნდა შეფასდეს არა მხოლოდ წყლის ეკოსისტემებთან მიმართებაში, არამედ ბიომრავალფეროვნების სხვა წარმომადგენლების ჭრილშიც.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომპანიისგან კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე წარმოდგენილი დოკუმენტი რეალურად არ პასუხობს მოთხოვნილ ინფორმაციას და საჭიროებს დეტალიზაციასა და დაზუსტებას. შემოთავაზებულ დოკუმენტში კუმულაციურ ზემოქმედებად განხილულია 15 კილომეტრის მანძილზე 3 ჰესის მიერ წყლის გარემოს მიმართ მიყენებული შესაძლო ზიანი, თუმცა არ არის დაკონკრეტებული კონკრეტულად რომელი სახეობებისთვის იქნება მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება. სკოპინგის ანგარიში გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაშიც აქცენტი გაკეთდება მხოლოდ ნაკადულის კალმახის პოპულაციაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროექტების განხორციელების შემთხვევაში არანაკლები ზემოქმედების ქვეშ მოხვდება ასევე წითელი ნუსხის სახეობა წავი, რომლის არსებობისთვისაც წყლის ეკოსისტემა უმნიშვნელოვანესია. სამივე ჰესის საპროექტო არეალში ხვდება ასევე წითელი ნუსხით დაცული ფაუნის სხვა სახეობებიც, რომლებზეც ზემო ნაწილში უკვე ვისაუბრეთ (კავკასიის ენდემის ამფიბიები, კავკასიური გველგესლა, მურა დათვი და ა.შ). აღნიშნულ სახეობებზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედის შესწავლა ასევე უმნიშვნელოვანესია.

გარდა ამისა, პროექტის განხორციელებისას ზემოქმედების ქვეშ მოექცევა ჭალის ტყის ეკოსისტემის დიდი ნაწილი, რომელზეც ზიანის მიყენების საფრთხე ასევე არ არის შესწავლილი კუმულაციურიზემოქმედების ჭრილში.

საქართველო 1905-1907 წლებში

აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუციური მონარქიისაკენ (პარლამენტარიზმის დასაწყისი რუსეთში – სახელმწიფო სათათბირო)

რუსეთის პოლიტიკური სისტემის გარდაქმნა 1905-1906 წლებში

იმპერატორის უფლებების შეზღუდვას თვით იმპერატორი ნიკოლაი II დაეთანხმა და თავისი თანხმობა 1906 წლის 23 აპრილს ხელმოწერილი ძირითადი კანონითაც დაადასტურა. ამ დღიდან რუსეთის **აბსოლუტური მონარქია (თვითმპყრობელობა) კონსტიტუციურ მონარქიად გადაიქცა.**

ნიკოლაი II-ის 1905 წლის 19 ოქტომბრის მანიფესტით, რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტი **მინისტრთა საბჭოდ** გარდაიქმნა. მინისტრთა კომიტეტი მხოლოდ ცალკეულ ადმინისტრაციულ საკითხებს იხილავდა, მთელი სისრულით არ ფლობდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. 19 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, მინისტრთა საბჭო იმპერიის სრულუფლებიან აღმასრულებელ ხელისუფლებად(მთავრობად) იქცა. ამიერიდან მთავრობის გვერდის ავლით გადაწყვეტილება მიღებული ვერ იქნებოდა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიეცა სამინისტროების კონტროლის უფლება. მინისტრებს შეეძლოთ იმპერატორისათვის წარედგინათ "უქვეშევრდომილესი მოხსენებები", თუ ისინი წინასწარ იყო შეთანხმებული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან.

ნაწილობრივ შეიცვალა **მმართველი სენატის,** როგორც სახელმწიფოს უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს, ფუნქცია. სენატის კომპეტენციაში შედიოდა, იმპერიის ძირითად კანონთან მიმართებაში შეემოწმებინა სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს მიერ მოწონებული კანონპროექტები, აეკრძალა ისეთი კანონების გამოქვეყნება, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ძირითად კანონს. ეს იმას ნიშნავდა, რომ **სენატს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი უფლება-მოვალეობა დაეკისრა.**



1905-1906 წლებში გატარებული რეფორმები თითქმის არ შეხებია ადგილობრივ(საგუბერნიო, საქალაქო, სამაზრო, სათემო)მმართველობას.

1906-1917 წლებში რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეები იყვნენ:

1 **ედუარდ ფრიში** (1906-1907);

2. **მიხაილ აკიმოვი** (1907-1914);

3. **ივან გოლუბევი** (მოვალეობის შემსრულებელი 1914-1915 წწ.);

4. **ანატოლი კულომზინი** (1915-1916);

5. **ივან შჩეგლოვიტოვი** (1917).

1906-1917 წლებში რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები ხშირად იცვლებოდნენ. ამ თანამდებობაზე მოღვაწეობდნენ:

1. **სერგეი ვიტტე** (1905 წლის 19 ოქტომბერი–1906 წლი 22 აპრილი);

2. **ივან გორემიკინი** (1906 წლის 22 აპრილი–8 ივლისი)

3. **პიოტრ სტოლიპინი** (1906 წლის 8 ივლისი–1911 წლის 1 სექტემბერი)

4. **ვლადიმირ კოკოვცევი** (1911 წლის 1 სექტემბერი–1914 წლის 30 იანვარი)

5. **ივან გორემიკინი** (1914 წლის 30 იანვარი –1916 წლის 20 იანვარი);

6. **ბორის შტიურმერი** (1916 წლის 20 იანვარი–10 ნოემბერი);

7. **ალექსანდრ ტრეპოვი** (1916 წლის 10 ნოემბერი–27 დეკემბერი);

8. **ნიკოლაი გოლიცინი** (1916 წლის 27 დეკემბერი –1917 წლის 27 თებერვალი).

პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება დაწყებული რეფორმების მიმართ

რუსეთის იმპერატორ ნიკოლაი II-ის 1905 წლის 6 აგვისტოსა და 17 ოქტომბრის მანიფესტები რუსეთის პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის საფუძველს წარმოადგენდა: **თვითმპყრობელური მონარქია ადგილს უთმობდა კონსტიტუციურ მონარქიას.** იმპერატორი და რუსეთის პოლიტიკური ელიტა იმედოვნებდნენ, რომ საზოგადოების ყველა სოციალური ფენა გაგებითა და მადლიერებით მოეკიდებოდა ხელისუფლების დათმობას, რევოლუცია შეწყდებოდა და ახალი სახელმწიფო წესრიგის პირობებში რუსეთი ნელნელა განვითარდებოდა ცივილიზებულ ქვეყნებთან ერთად. რუსეთის სხვადასხვა სოციალური ფენა, ისევე, როგორც მათი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფოებრივ აზროვნებას მოკლებულნი აღმოჩნდნენ და, ნაცვლად ხელისუფლებისადმი თანადგომისა და მხარდაჭერისა, ოპოზიციაში ყოფნა არჩიეს და ქვეყნისათვის სრულიად მიუღებელი რაღაც პროგრამების რეალიზებისათვის გააგრძელეს ბრძოლა.

დაწყებული სახელმწიფო რეფორმების უპირველესი მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, თვითმპყრობელობის კონსტიტუციურ მონარქიად გარდაქმნა იყო. რა პოზიცია ჰქონდათ ამასთან დაკავშირებით პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს, ვინ ეწინააღმდეგებოდა და ვინ უჭერდა მხარს დაწყებულ რეფორმებს? მოვიხმობთ ამონაწერებს პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებიდან, რომლებიც ადასტურებს, რომ პარტიათა უმრავლესობა მიუღებლად მიიჩნევდა კონსტიტუციურ მონარქიას ორპალატიანი (სახელმწიფო სათათბირო, სახელმწიფო საბჭო) პარლამენტით.

1. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია: "ხალხის თვითმპყრობელობა, ე.ი. მთელი უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლების თავმოყრა საკანონმდებლო კრების ხელში, რომლის შემადგენლობაში შევლენ ხალხის წარმომადგენლები და რომელსაც ექნება ერთი პალატა(...), ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა; საოლქო თვითმმართველობა იმ ადგილებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით".

2. რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია: "დაწესება დემოკრატიულ რესპუბლიკისა, ოლქთა და თემების ფართო ავტონომიით როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიაც; ფედერაციული საფუძვლის რაც შეიძლება უფრო ფართო შემოღება კერძო ეროვნებათა ურთიერთობაში".

3. რადიკალური პარტია:„პარტია ცნობს პოლიტიკური წეს-წყობილების უფრო დასრულებულ ფორმად დემოკრატიულ რესპუბლიკას. მმართველობის კონსტიტუციური ფორმის პირობებშიც, პარტია იცავს რა თავის პროგრამას, საჭიროდ თვლის სასტიკ პარლამენტარულ წეს-წყობილებას(...), თვლის რა ანტიდემოკრატიულად ისეთ ორპალატიან სისტემას, როდესაც საგუბერნიო ერობები ირჩევენ ზედა პალატის წევრებს, თუნდაც დემოკრატიულ სა-

გვ-7

გურულ მოჯირითეთა უცნობი დეტალები

საუბარი ჩაწერილია 2010 წელს პავლე მახარაძის შვილიშვილ ლამარა ანდღულაძესთან სოფელ ბახვში.

პავლე როსტომის ძე მახარაძე წარმოშობით აზნაური იყო, ფლობდა მიწის ნაკვეთს და თავის ძმებთან: ივანე, სილიბისტრო და ალექანდრე მახარაძეებთან ცხოვრობდა სოფელ ბახვში, მახარაძეების გორაზე. როცა ცოლად შეირთო მადიო-მაგდა ანთაძე, მადიოს ძმამ დას და სიძეს მიწის ნაკვეთი აჩუქა და მისი სახლის გვერდით დაასახლა. ტერიტორიულად ეს ადგილი უფრო კარგი იყო და ცენტრში მდებარეობდა.

მარცხნიდან მარჯვნივ: **სიმონ ორაგველიძე - შუხუთიდან; ალექსანდრე მურვანიძე - ჯუმათიდან; პავლე მახარაძე - ბახვიდან.**

პავლეს და მადიოს სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდათ,, ფედოსი, კაკალა, თამარი და ვაჟი მიხეილი (მიშა). ქალიშვილებიდან მხოლოდ კაკალა გათხოვილა სიყვარულით და გაჰყოლია ცნობილი მომღერლის დავით ანდღულაძის ძმას. სოფელში ამბობდნენ თურმე, ამერიკაში ნამყოფი კაცის შვილს ცოლად ვინ შეირთავსო.

ქალბატონი ლამარა კეკელას ქალიშვილი გახლავთ ,74 წლის, მას ბაბუა არ ახსოვს, მხოლოდ გადმოცემით იცის, ვინაიდან ის ბავშვობაში ძალიან ცელქი ყოფილა. ბებია ხშირად უყვებოდა ბაბუას თავგადასავლებს და ამით ართობდა გოგონას.

პავლე ამბობდა, ჩვენ ვართ ახლა 5 კაცი და 2 ქალი, გემიც ნაშოვნი გვაქვს და მალე წავალთო, მართლაც, მალე წასულან, იქედან ჩამოსული ჰყვებოდა თურმე, რომ ამერიკაში ჩვენ გავიცანით ერთი ქართველი, რომელიც ძალიან დაგვეხმარა, ეს უნდა იყოს რიჩარდ ჯორიანის ბაბუა ალექსი გოგოხია ჯირჯიანი.

ქალბატონ ლამარას მეხსიერბას შემორჩა ბებიას მონათხრობი: ჩვენ ვცხოვრობდით გარეუბანში, შორს, იმ ადგილიდან, სადაც გამოვდიოდით და ძალიან დაღლილი ვბრუნდებოდით , პირველ ხანებში ძალიან გვიჭირდა, ერთხელ , როცა შინ ვბრუნდებოდით, გვირაბთან გავიარეთ, გვირაბი 9 მეტრის სიმაღლის იქნებოდა, ჩვენს ნაცნობ ქართველს და იმას კიდევ ახლდა ამერიკელი, ვუთხარი, გინდა ახლა ამ გვირაბს გადავევლო მეთქი, შემდეგ ცხენი მოვაბრუნე, უკან დავხიე 40 მეტრით, ყურში ჩავჩურჩულე, დავუკიჟინე და ცხენი წელში მანამ არ გამართულა, სანამ მეორე ნაპირს არ გადაევლო შეიქნა ერთი ყიჟინა და ოვაციები, ქართველმა მითხრა მაღარიჩი რა გინდაო. პავლეს უპასუხნია, ოღონდ ახლოს დაგვაბინაოს ცირკთანო. საერთოდ პავლეს ცხენი ისეთი გაწრთვნილი ჰყოლია, რომ დაუძახებდა თავისი პაროლით ცხენი ნელი ნაბიჯით ჩუმად მიდიოდა მასთან თურმე. ის ისე უფრთხილდებოდა მის ცხენს, რომ როცა ბახმაროში მიდიოდნენ, ვაკიჯვრის გავლით ცხენი პავლეს მიჰყავდა ცალკე, ოჯახის წევრებისთვის ცალკე დაიქირავებდა. ყოფილა შემთხვევა, ბახმაროზე მგზავობის დროს თავით დადგებოდა გაჭენებულ ცხენზე და ასე მიდიოდა კარგა ხანს. სამივე ძმას კარგი ცხენები ჰყავდათ ,მეოთხე ძმა ალექსანდრე მკერავი იყო. პავლეს ამერიკიდან საჩუქრად შვილებისათვის ტანისამოსი ჩამოჰქონდა.

პავლე მახარაძე 1907 წლის შემდეგ ამერიკაში აღარ წასულა. ეგი გარდაიცვალა 1917 წელს.მისი შთამომავლები ამჟამად თბილისში ცხოვრობენ.



ცხენოსანთა საერთაშორისო აკადემია საუკეთესო მოჯირითეებს ძვირფასი საჩუქრებით და გულზე დასაკიდი ოქროს მედალიონით აჯილდოვებდა,რომელსაც გაჭენებული ცხენის ფორმა ჰქონდა, ასეთი მედალიონებით დაჯილდოვებული იყვნენ: ივანე, პავლე მახარაძეები და ლუკა ჩხარტიშვილი.

პავლე ,ივანე და სილიბისტრო მახარაძეებთან ერთად რჩეული მოჯირითეები იყვნენ მათი ბიძაშვილი ივანე პატარა „ჩოხაგრძელა“ და ქიშვარდი მახარაძე, ივანეს ცოლისძმები ყარამან და გიორგი კალანდარიშვილები, პავლეს ცოლის მადიოს ბიძაშვილები მალხაზ, ნილოლა და მიხეილ ანთაძეები, ამ უკანასკნელთა შთაბეჭდილებების მიხედვით ,ცნობილმა ქართველმა საბავშვო მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ნინო ანთაძე- ნაკაშიძემ დაწერა მოთხრობა „ვინ არის დამნაშავე“,რომლის მიხედვითაც ალქსანდრე წუწუნავამ 1925 წელს გადაიღო მხატვრული ფილმი.

გურული მოჯირითეები ამერიკაში წასავლელად ჩადიოდნენ ბათუმში იქ სამხედრო გუბერნატორისაგან იღებდნენ საზღვარგარეთის პასპორტს, რომლის აღებაც , როგორც მკლევარები აღნიშნავენ, არც თუ ისე ადვილი იყო. ბათუმიდან მიემგზავრებონენ საფრანგეთში იქედან ამერიკაში.მათ საზღვარგარეთ მიქონდათ ცხენის აღკაზმულობა,-უნაგირი,მათრახი... ეროვნული ტანსაცმელი, ცხენებს ცირკის მეპატრონეები აძლევდნენ, რომელსაც მალე ეჩვევოდნენ.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების
მთავარი მცველი.

ორგანული ფერმები 2050 წლისთვის მთელი ევროპის გამოკვებას შეძლებენ

„იმპორტირებული საკვების გარეშე მთელი ევროპის გამოკვება 2050 წლისთვის იქნება შესაძლებელი“ – აღნიშნულია საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევაში (CNRS).

კვლევამ, რომელიც ითვალისწინებს წარსულის გამოცდილებას მომავლის პროგნოზებისთვის, აღმოაჩინა, რომ გარემო ფაქტორებისა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სინთეზური სასუქების გაზრდილი მოხმარება მიანიშნებს, რომ ევროპა აგრძელებს სასოფლო – სამეურნეო საქონლის იმპორტს. ცხოველურ პროდუქტები, როგორიცაა ხორცი, რძის ნაწარმი, თევზი, ბოსტნეული და ყველა სახის საკვები პროდუქტი იმპორტირებულია ევროპის ფარგლებს გარედან.

2020 წლის მოხსენების მიხედვით, ჩვენ მიერ მოხმარებული ბოსტნეულის 47 % შეძენილია ევროპის გარეთ.

როგორ უნდა შეიცვალოს კვების სისტემები?

მეცნიერები ამბობენ, რომ სამსაფეხურიანი პროცესით შეგვიძლია გვქონდეს ორგანული, მდგრადი, ბიომრავალფეროვნებისადმი მეგობრული აგრო სასურსათო სისტემა. ეს შეიძლება გულისხმობდეს დამოუკიდებლად წარმოებულ საკუთარ სურსათს 2050 წლი-სთვის.

პირველი საფეხური მოიცავს რაციონის ცვლილებას, რომელიც გულისხმობს იმ ცხოველური საკვების შემცირებას, რომელსაც დღეს ვიღებთ. 1961 წლიდან 2013 წლამდე ევროპის მოსახლეობა გაიზარდა 428 მილიონიდან 540 მილიონ მოსახლემდე. ამ ზრდამ დიდი გავლენა მოახდინა რეგიონში ცილის მოხმარებაზე – გაიზარდა 35% – დან 55% – მდე. ეს ნიშნავს, რომ თითოეული ინდივიდის მიერ პროტეინის მოხმარება გაიზარდა 80% – მდე.

ცხოველური საკვების მოხმარების შეზღუდვით შესაძლებელია იყოს ნაკლები მოთხოვნა მესაქონლეობაზე და შედეგად იმპორტირების საჭიროებაც შემცირდება.

მეორე საფეხური გულისხმობს ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის თავიდან არიდებას, უკვე არსებული ნიადაგისა და მიწის ნაკვეთის გამოყენებით მოსავლის გასანაწილებელი სივრცის შექმნას. ეს შეამცირებს პასტიციდებისა და სასუქების გამოყენებას და შედეგად, გამოიწვევს ჰაერში გამოყოფილი აზოტის შემცირებას.

ხოლო ბოლო საფეხური მოიცავს მემცენარეობისა და მეცხოველეობის გაერთიანებას ერთ ინდუსტრაში. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს საშუალებას მისცემს ფერმერებს გაამარტივონ ცხოველური ნარჩენების გადამუშავებით მცენარეებისთვის სასარგებლო სასუქის მიღება, როგორიცაა მაგალითად, ნაკელისგან კომპოსტის წარმოება.

მეცნიერები კვლევაში ასევე ამბობენ, ადამიანის ნარჩენების გადამუშავება შეიძლება იყოს საკვანძო ნაბიჯი იმისათვის, რომ ევროპა გახდეს უფრო სუფთა 2050 წლისთვის. ნარჩენის 70 % ის გადამუშავებას შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად ევროპში.

2050 წლისთვის, ამ სამსაფეხურიანი პროცესით, ევროპა შეძლებს გახდეს მთავარი მოთამაშე საკვების ექსპორტის ინდუსტრიაში.

წყარო: **Euro news (Green)**

მადლობა თანადგომისთვის

მადლობა მინდა ვუთხრა ხელისუფლებას, „ქართულ ოცებას“, იმისთვის, რომ პირველი ჯგუფის ინვალიდს, ეტლით მოსარგებლეს მაქცევენ ყურადღებას. ღმერთმა გაგახაროთ ყველა ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის. პანდემიის დროს შესაძლებლობის მქსიმუმი გააკეთეს, რომ დამხმარებოდნენ. მეხმარებიან საკვები პროდუქტებით, მედიკამენტებით, მომიტანეს შეშაც.

ასევე მადლობა უფასო სასადილოს ხელმძღვანელს,ნათია ღლონტს, მის თანამშრომლებს, სახლში მაწვდიან უგემრიელეს კერძებს. „ქართული ოცნების“ დეპუტატმა მაცივარი და გაზის გამათბობელი შემიძინა, ასევე ფინანსურად დაგვეხმარა, როცა ჩემს ძმას ოპერაცია გავუკეთეთ. მადლობა საქართველოს "კარიტასს": ნანა მიზანდარს, რიმა პეტროსიანს,ანა არევილიანს. მეხმარებიან პროდუქტებით, წამლებით,სხვა საჭირო ნივთებით,მისუფთავებენ სახლს.

ღმერთმა გაგახაროთ ყველა!

მანანა-თინა მგელაძე

ხსოვნა

„ალიონის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ჩვენი გაზეთის მეგობრისა და გულშემატკივრის, ბატონი **ლერი ჯაყელის** გარდაცვალებას და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი „ალიონი“ იუწყება ცნობილი მომღერლის **ლევან გოლიაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

იყიდება
ერთი წლის ჯიშიერი დეკეული, მუქი წაბლისფერი, კარგად მოვლილი, წონით დაახლოებით 70 კგ.
დარეკეთ ტელეფონზე: 599 46 50 49, იკითხეთ მარინა.

იყიდება
ერთი წლის ჯიშიანი დეკეული.
დაგვიკავშირდით:
599 70 15 46;
555 51 47 53.

სულთათანა

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობის, საქართველოს დამსახურებული არტისტის ამირან ქადეიშვილის ქალიშვილის ზოიას (ზოიკოს) გარდაცვალებამ ძალიან დამწყვიტა გული.

ზოია იყო შესანიშნავი მეგობარი, ერთგული მეუღლე და განუმეორებელი დედა. მე, მასთან ერთად, თეატრში გავატარე 26 წელიწადი. უყვარდა მიმართვა სტუმრისადმი „მობრძანდი, დაბრძანდი, მიირთვი“. თუ მეუღლე არ იყო სახლში, სტუმარს თვითონ უმასპინძლებდა, შესანიშნავად უთამადებდა. იყო გვერდში მდგომი ადამიანი. მწარედ განიცდიდა, რომ სულ ახლახან გარდაეცვალა მამა, ამირან ქადეიშვილი, რომელმაც 30 მხატვრულ ფილმში მიიღო მონაწილეობა.

ასევე გული მატკინა ჩვენი თეატრის მსახიობის ალექსანდრე ლომიძის (დამსახურებული არტისტის სერგო ლომიძის ვაჟი) ნაადრევად წასვლამ ამ ქვეყნიდან. ალექსანდრემ, ალიკამ, როგორც ჩვენ ვეძახდით, 38 მთავარი როლი განასახიერა ოზურგეთის თეატრის სცენაზე.

ვიზიარებ მათი ოჯახების დიდ მწუხრს.

ბოდიშს ვიხდი, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო, გასვენებებს ვერ დავესწარი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოთ.

ბახუტა ოთხმეზური.

სკანვორდი



პასუხები:

პირველი: ხუთშაბათი – ეფიფანი; ოქროსფერი – ავთანდილ; ქალის სახელი ოთხი; ფოლადისფერი – ფანდური; ბერძენი ფილოსოფოსი – ანაქსიმანდრი; ბერძენი ფილოსოფოსი – ანაქსიმენესი; ბერძენი ფილოსოფოსი – ზენონი; ბერძენი ფილოსოფოსი – ანტისთენესი; ბერძენი ფილოსოფოსი – ეპიკურე; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლავიანე; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლორენტინელი; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლორენსკი; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლეგონი; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლეგონტი; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლეგელი; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლეგმონი; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლეგეთონი; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლეგეტანი; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლეგეტონი; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლეგეტანელი; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლეგეტანელი; ბერძენი ფილოსოფოსი – ფლეგეტონ

საქართველო 1905-1907 წლებში

აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუციური მონარქიისაკენ (პარლამენტარიზმის დასაწყისი რუსეთში – სახელმწიფო სათათბირო)

რუსეთის პოლიტიკური სისტემის გარდაქმნა 1905-1906 წლებში

ფუძველზე დამყარებულს(...). უვარგისად თვლის ისეთ ზედა პალატასაც, რომელიც ირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი კენჭისყრით."

4. თავისუფალ მოაზროვნეთა პარტია:"რუსეთი ერთიანი სახელმწიფოა წარმომადგენლობითი მმართველობით. რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობა გამოიხატება ერთიანობაში: ა) უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლებისა, ბ)საგარეო პოლიტიკისა, გ)არმიისა და ფლოტისა, დ)საბაჟო და სატარიფო პოლიტიკისა, ე) სახელმწიფო გადასახადების სისტემისა, 3) ფულის სისტემისა, ზ)სკოლის სისტემისა, თ)სახელმწიფო ენისა, ი)მართვისა და სა-სამართლო სისტემისა(...). საერთო-სახელმწიფოებრივი წარმომადგენლ-ობითი კრება უნდა აირჩეს საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით."

5. რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია:,,რუსეთის სახელმწიფოს კონსტიტუციური წეს-წყობილება განისაზღვრება ძირითადი კანონით. ხალხის წარმომადგენლები ირჩევიან საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სქესისა. პარტია უშვებს თავის წრეში აზრთა სხვადასხვაობას სახალხო წარმომადგენლობის ორგანიზების საკითხში, მაგალითად, ერთი ან ორი პალატა. ზედა პალატა უნდა ირჩეოდეს მთელი რუსეთის მასშტაბით ადგილობრივი თვითმმა-რთველობის ორგანოების წარმომადგენლებისაგან საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე(...). არც ერთი დადგენილება, განკარგულება, ბრძანება და მსგავსი აქტი, რომელიც მიღებული არ იქნება სახალხო წარმომადგენლობის გადაწყვეტილებით, რასაც უნდა უწოდებდნენ მას და ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს, არ შეიძლება იყოს კანონიერი(...). სახალხო წარმომადგენელთა კრების წევრებს ეკუთვნით საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მინისტრები პასუხისმგებელნი არიან სახალხო წარმომადგენელთა კრების წინაშე."

6. ზომიერ-პროგრესული პარტია: ,,რუსეთის სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილება განისაზღვრება ძირითადი კანონით. სახალხო წარმომადგენლები უნდა ირჩეოდნენ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. სახალხო წარმომადგენლობა იღებს მონაწილეობას საკანონმდებლო უფლების განხორციელებაში(...), არც ერთ განკარგულებას, დადგენილებას, ბრძანებას, ცირკულარს და მათ მზგავს აქტს, რომელიც გამოცემული არ იქნება სახალხო წარმომადგენლობის დადგენილების საფუძველზე, არ შეიძლება ჰქონდეს კანონის ძალა."

7. პროგრესულ-ეკონომიური პარტია: ,,ხალხის წარმომადგენელთა კრებას უნდა ჰქონდეს კანონების გამოცემის, აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის უფლება."

თვითმპყრობელობის კონსტიტუციურ მონარქიად გარდაქმნას მხარი დაუჭირა რამდენიმე პარტიამ. მოვიხმობთ ამონაწერებს ამ პარტიათა პროგრამებიდან:

1. სახალხო-სამეურნეო პარტია:,, იმპერატორის შეუდრეკელი ნების გამოხატვა სახელმწიფოს რიგიანად მართვის შესახებ, რომელიც ხალხის რჩეულთ სახელმწიფოს მართვაში კანონიერი მონაწილეობის უფლებას აძლევთ, ვიღებთ მოკრძალებით, რადგან ვფიქრობთ, რომ ასეთი წესი არ ამცირებს მეფის უმაღლეს უფლებას, არამედ ამსუბუქებს სახელმწიფოს მართვას."

2. სრულიად რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო კავშირი: ,,(...)დაცვა იმპერიის მთლიანობისა კონსტიტუციური მონარქიით."

3. 17 ოქტომბრის კავშირი: ,,კონსტიტუციური მონარქიის განვითარება და გაძლიერება სახალხო წარმომადგენლობით, რომელიც დამყარებული უნდა იქნეს საყოველთაო უფლებებზე(...). პოლიტიკურ ფორმათა მომავალი განვითარება ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული რუსეთის მთელ ისტორიულ ცხოვრებასთან. დამფუძნებელი კრების მოწვევა, როგორც ამას მოითხოვს ზოგიერთი პარტია(...), ნიშნავს კავშირის სრულ გაწყვეტას წარსულთან და მოახდენს ჩვენი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ საფუძველთა გადასინჯვას, რომლის გადასინჯვა არ შეიძლება ქვეყნისათვის მძიმე რევოლუციური შერყევების გარეშე".

4. რუსეთის მონარქისტ-კონსტიტუციონალისტთა(მეფისტთა) პარტია: ,,მეფისტები აღიარებენ მონარქიულ-კონსტრიტუციონალურ მართველობის ფორმას, მაგრამ სიტყვა "მეფეს" მათ თვალში აქვს ღრმა მნიშვნელობა რუსეთისა და რუსეთის ხალხისათვის. მეფე მამაა ხალხისა, განუშორებლად და მჭიდროდ მასთან შეკავშირებული, მეფე ანდობს ხალხის მიერ არჩეულ პირთ სახელმწიფოს მართვას, მაგრამ ამით მეფის მნიშვნელობა არ იცვლება, პირიქით, კიდეც იზრდება. რუსეთის მეფე ყოველივე კეთილი საწყისის მფარველი, ამასთან, დიდებული ხალხის სული და სინდისია და მთელი იმპერიის დიდებისა და ძლიერების იდეის მატარებელია. მეფეს არაფერი არ უნდა, ის მეფედ იბადება, რუსეთი უმეფოდ წარმოუდგენელია".

5. რუსი ხალხის ყველა წოდებათა კავშირი: ,,დარწმუნებულნი, რომ რუსეთისათვის უფრო შესაფერისი და ერთადერთი მართველობის ფორმა მონარქიული მმართველობაა ხელმწიფე იმპერატორით სათავეში და სახალხო წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც არჩეული იქნებიან საყოველთაო, თანასწორი და თავისუფალი კენჭისყრით".

კონსტიტუციური მონარქიის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთაგან განსხვავდებოდა კონსერვატორულ-მონარქისტული ორგანიზაცია "რუსული კრება", რომელიც აცხადებდა: "რუსთა კრებას სწამს, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტს არ შეუცვ-ლია მეფის თვითმპყრობელობა და იგი ახალ წეს-წყობილებაშიაც განაგრძობს არსებობას. სახელმწიფო სათათბირო არაა მოწვეული იმისათვის, რომ სახელმწიფოს ძირითად კანონებში რაიმე შეცვალოს. აღიარებს რა სახელმწიფო სათათბიროს მიზნად კანონმდებლობის შემუშავებას და საქმიან ზედამხედველობას მის განხორციელებაზე, რუსთა კრება ფიქრობს მხარი დაუჭიროს ყველა იმ პირის არჩევას სახელმწიფო სათათბიროში, რომლებიც თანაუგრძნობენ ამ შეხე-დულებას."

ზემოთ მოხმობილი მასალა იმის დამადასტურებელი იყო, რომ პოლიტიკურ პარტიათა და მათ უკან მდგომ სოციალურ ძალთა შორის რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის მიზნით დაწყებული რეფორმა კონფრონტაციის ფონზე განვითარდებოდა, რაც კიდევ უფრო გააღრმავებდა რევოლუციის პირობებში წარმოქმნილ წინააღ-მდეგობებს.

რუსეთის იმპერიის პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები

კანონი სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების შესახებ 1905 წლის 11 დეკემბერს გამოქვეყნდა. იგი პირდაპირ არჩევნებს არ ითვალისწინებდა. არჩევნები კურიების მიხედვით ჩატარდებოდა. სულ შეიქმნა 4 კურია: **მიწათმფლობელთა, საქალაქო, საგლეხო, მუშათა.**ყველა კურიას უნდა აერჩია არა სახელწმწიფო სათათბიროს წევრები, არამედ მათი **ამრჩევები.** დაწესდა შემდეგი კვოტები:

1. 1 ამრჩევი მიწათმფლობელთა კურიის ხმის უფლების მქონე 2.000 მცხოვრებისათვის;

2. 1 ამრჩევი საქალაქო კურიის ხმის უფლების მქონე 4.000 მცხოვრებისათვის;

3. 1 ამრჩევი საგლეხო კურიის ხმის უფლების მქონე 30.000 მცხოვრებისათვის;

4. 1 ამრჩევი მუშათა კურიის ხმის უფლების მქონე 90.000 მცხოვრებისათვის.

საარჩევნო ხმის უფლება იმპერიის ყველა ქვეშევრდომს არ ჰქონდა. საარჩევნო ხმის მოპოვებისათვის აუცილებელი იყო არჩევნებამდე ორი წლით ადრე შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

1. მიწათმფლობელთა კურიისათვის: ხმის უფლების მოსაპოვებლად აუცილებელი იყო 100 დესეტინიდან 650 დესეტინამდე მიწისა (ნიადაგის ვარგისიანობის მიხედვით) და არანაკლებ 15.000 მანეთის ღირებულების უძრავი ქონების ფლობა;

2. საქალაქო კურიისათვის: ქალაქში უძრავი ქონებისა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების ფლ-ობა; სახელმწიფო მოხელის თანამ-დებობა;

3. საგლეხო კურიისათვის: სოფლად უძრავ-მოძრავი ქონების ფლობა;

4. მუშათა კურიისათვის: ისეთ საწარმოში მუშაობა, რომელშიც დასაქმებული იყო არანაკლებ 50 მუშისა.

გარდა ამისა, **ხმის უფლება არ ჰქონდათ:** რუსეთის მოქალაქეებს, რომელთაც არჩევნების დღისათვის 25 წელი არ შესრულებოდათ; ქალებს; სტუდენტებს; სავალდებულო-სამხედრო სამსახურში მყოფ ადამიანებს (ჯარისკაცებს); მაწანწალებს; სასამართლოს მიერ დამნა-შავედ ცნობილ პირებს; სასამართლოს გადაწყვეტილებით თანამდებობიდან გადაყენებულებს 3 წლის განმავლობაში; პირებს, რომელთა საქმე ან ძიებაში იყო, ან სასამართლო იხილავდა; სხვადასხვა მიზეზით გაბანკროტებულ ადამიანებს; სხვისი მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირებს; პირებს, რომელთაც სასულ-იერო თანამდებობები ჩამოერთვათ; წოდებაჩამორთმეულ ადამიანებს. ხმის უფლება ასევე არ ჰქონდათ თავიანთ საგანმგებლო ტერიტორიაზე არსებულ საარჩევო ოკრუგებში: გუბერნატორებს, ვიცე-გუბერნატორებს, ქალ-აქის თავებსა და მათ თანაშემწეებს, პოლიციელებს.

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები რამდენიმესაფეხურიანი იყო: საქალაქო კურიაში – ორსაფეხურიანი; მიწათმოქმედთა კურიაში – ორ ან სამსაფეხურიანი; გლეხთა კური-აში –ოთხსაფეხურიანი; მუშათა კურიაში –სამსაფეხურიანი.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები 1906 წლის თებერვალ-მარტში გაიმართა. არჩევნები მოგვიანებით ჩატარდა ეროვნულ განაპირა მხარეებში, მათ შორის, საქართველოშიც. ამის გამო სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღეს, 1906 წლის 27 აპრილს, 524 დეპუტატიდან მხოლოდ 480 იყო არჩეული. სულ კი პირველ სახელმწიფო სათათბიროში 497 დეპუტატი იქნა არჩეული, რომელთაგან 11 დეპუტატის უფლებემოსილება არ ცნეს, 1 დეპუტატი გადადგა, 1 გარდაიცვალა, ხოლო 6 დეპუტატი სხვადასხვა მიზეზით პეტერბურგში ვერ ჩავიდა. **პროფესიული ნიშნით,** დეპუტატები ასე განაწილდნენ:

მიწათმფლობელი – 121,

ხელოსანი –10,

ფაბრიკისა და ქარხნების მუშა–17,

ვაჭარი –14,

ფაბრიკა-ქარხნების მფლობელი და მმართველი –5,

მემამულე და მამულის მმართველი –46,

ერობის, საქალაქო მმართველო-ბისა და სათავადაზნაურო საკრებულოს მოხელე –73,

სასულიერო პირი –6,

სახელმწიფო და კერძო დაწესებულების მოხელე –14,

ადვოკატი –39,

ექიმი –16,

ინჟინერი –7,

პროფესორი და პრივატ-დოცენტი –16,

გიმნაზიის მასწავლებელი –3,

სოფლის სკოლის მასწავლებელი –14,

ჟურნალისტი –11,

გაურკვეველი საქმიანობისა – 9.

სათათბიროს **პარტიული და ფრაქციული შემადგენლობა** ასე გამოიყურებოდა:

რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული (კადეტთა) პარტია –166,

მშრომელთა კავშირი ("ტრუდოვიკები")– 102,

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა(ესერთა) პარტია – 23,

თავისუფალ მოაზროვნეთა პარტია – 2,

პოლონეთის სამეფოს წარმომადგენლები(პოლონური კოლო)–33,

მშვიდობიანი განახლება – 26,

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია(მენშევიკები) – 18,

უპარტიო ავტონომისტები – 14,

პროგრესისტები – 12,

დემოკრატიული რეფორმების პარტია – 6,

უპარტიო – 100.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარედ არჩეული იქნა რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული (კადეტთა)პარტიის წევრი, პროფესორი **სერგეი მურომცევი**(1850-1910). სათათბირომ მუშაობა 1906 წლის 27 აპრილს დაიწყო და 8 ივლისს დაასრულა.

პირველი სახელმწიფო სათათბირო თავიდანვე მკვეთრად დაუპირისპირდა მთავრობას(თავმჯდომარე ივან გორემიკინი). სახელმწიფო სათათბირომ სულ 72 დღე იმუშავა და 391 შეკითხვა შეიტანა რუსეთის მთავრობის უკანონო მოქმედებების გამო განმარტების მისაღებად. დაიწყო თუ არა სათათბიროს სესია, კადეტებმა ყველა პოლიტიკური პატიმრის ამნისტია და სიკვდილით დასჯის გაუქმება მოითხოვეს. გარდა ამისა, კადეტები ითხოვდნენ სახელმწიფო საბჭოს გაუქმებას და სახელმწიფო სათათბიროს წინაშე პასუხისმგებელი მინისტრთა საბჭოს (მთავრობის) შექმნას. პირველი სახელმწიფო სათათბიროს მუშაობაში უმთავრესი **ადგილი აგრარულმა** საკითხმა დაიკავა. კადეტებმა (42 დეპუტატმა) შეიტანეს კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა: 1. გლეხობისათვის მიწის დამატებით გადაცემას; 2. გლეხობისათვის გადასაცემი მიწა უნდა გამოყოფილიყო სახელმწიფო, სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო და საკაბინეტო მიწების ფონდიდან.

1906 წლის 6 ივლისს იმპერატორმა ივან გორემიკინის მეტად არაპოპულარული მთავრობა დაითხოვა და მინისტრთა საბჭოს თავმჯ-დომარედ პიოტრ სტოლიპინი დანი-შნა. 8 ივლისს ნიკოლაი II-მ ხელი მოაწერა პირველი სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის ბრძანებას, ხოლო 9 ივლისის მანიფესტით მეო-რე სახელმწიფო სათათბიროს არჩე-ვნები დანიშნა..

ქართველები პირველ სახელმწიფო სათათბიროში

პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები 1906 წლის თებერვალ-მარტში მიმდინარეობდა, სათათბირო კი მუშაობას 27 აპრილს შეუდგა. საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, არჩევნები მოგვიანებით ჩატარდა და 1906 წლის მაისში დასრულდა. ასე რომ, ამ დროისათვის სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა უკვე დაწყებული იყო. საქართვე-ლოდან პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს:

1. ნოე ჟორდანია (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

2. ისიდორე რამიშვილი (რუს-ეთის სოციალ-დემოკრატიული მუშ-ათა პარტია, მენშევიკი);

3. ივანე გომართელი (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

4. სერგო ჯაფარიძე (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

5. სვიმონ წერეთელი (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

6. იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის, ქართველი დემოკრატებისა და რადიკალების ბლოკი);

7. პროკოფი შერვაშიძე (უპარტიო მიწის მფლობელი, გადამდგარი გენერალი);

8. არტიომ აივაზოვი (რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია).

(გაგრძელება იქნება)
ვახტანგ გურული
საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, (1918)გვ. 373–37))

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გამოგზანილი ბურთები „საღვთოს“ იუბილარმა მწვრთნელმა თავის აღსაზრდელებს უსახსოვრა

ალიონი. 22 ნოემბერს, ნატანების გივი წითლიძის სახელობის სპორტულ დარბაზში, ნატანების ბავშვთა საფეხბურთო გუნდ **„საღვთოს“** ნორჩ ფეხბურთელებს დიდი ზეიმი ჰქონდათ. მათ მწვრთნელს **გია ტუღუშს** სფფ-ის ხელმძღვანელობამ სამოცი წლის იუბილესთან დაკავშირებით, 10 ცალი ბურთი გამოუგზავნა.

როგორც ბატონ გიასთან საუბარში გავარკვიეთ, მან ახალი წლიდან სავარჯიშოდ უმცროსი ასაკის ბავშვები აიყვანა, რომელთა მშობლების 80%-ს, სამწუხაროდ, დღევანდელი გაჭირვებული სოციალური პირობებიდან გამომდინარე, არ აქვთ საშუალება, რომ თავიანთ შვილებს შეუძინონ ხარისხიანი საფეხბურთო ბურთები.

მწვრთნელის ოცნება იყო, თითოეულ ბავშვს ჰქონოდა ბურთი. ეს ოცნება მას სფფ-ის ხელმძღვანელობამ შეუსრულა. ამ დღეს ბავშვთა **მშობლების, ბებიების ბაბუების, გულშემატკივრების თანდასწრებით,** მამა **მიქაელისა** და **მამა აკაკის** ლოცვა-კურთხევით, ნორჩი მობურთალები დასაჩუქრდნენ ამ ბურთებით. მათ, ვინც უბურთოდ დარჩა, წლის ბოლომდე გადაეცემათ ანალოგიური საჩუქარი. რა წყაროდან – ამას მწვრთნელი ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს. ბურთებთან ერთად, ბავშვებს გადაეცათ სამახსოვრო დიპლომები ბატონი **გივი წითლიძის** გამოსახულებით. შემდეგ კი გაიმართა საჩვენებელი ვარჯიში და ერთმანეთს შორის ამხანაგური მატჩი.

სავარჯიშოდ აყვანილ უმცროსი ასაკის ბავშვებს მათი მწვრთნელი მოფერებით „გოჭებს“ ეძახის. ჰოდა, აქვე გაგაცნობთ „გოჭების“ შემადგელობას: **გიორგი ბოლქვაძე, გიორგი პატარაია, ლუკა ხუნწარია, ალექსანდრე და რომანოზ თოიძეები, ომარ გორდელაძე, საბა ბაქანიძე, ზურაბ მიქატაძე, ვანიკო ცქვიტინიძე, ანდრია პატარავა, ალექსანდრე ხომერიკი, დავით ჩაჩანიძე, ანდრია ღელეყვა, დავით სირაძე, ნინიკო ტუღუში** (ერთადერთი გოგონა გუნდში).

გია ტუღუში დიდ მადლობას უხდის: სფფ-ს პრეზიდენტს, ბატონ **ლევან კობიაშვილს** და ვიცე-პრეზიდენტს **ალექსანდრე იაშვილს** – ავტოგრაფიანი ბურთის საჩუქრისათვის; ვიტალი დარასელიას ქალიშვილს, ქალბატონ **ქრისტინა დარასელიას** – მაისურისათვის, რომელზეც ვიტალია გამოსახული; საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ფუტსალში **ავთანდილ ასათიანს** – ეროვნული ნაკრების ფეხბურთელთა ავტოგრაფიანი ბურთისათვის; გინესის ორმოცდათორმეგზის რეკორდსმენს ბურთის კენწვლაში, ბატონ **გოდერძი მახარაძეს** – გვერდში დგომისათვის.

ვულოცავთ ბატონ გიას 60 წლის იუბილეს. მის აღსაზრდელებს კი ვუსურვებთ ახალი სიტყვა ეთქვთ ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

რეზო რამიშვილის მოგონება

რეზო იყო შესანიშნავი ბაბუა, შესანიშნავი მეუღლე, მამა, მეგობარი, თამადა, სუფრის კაცი და შესანიშნავი ხელოვანი; ასეთი პიროვნება, რომელიც ერთდროულად ამდენ სიკეთეს ფლობდეს, იშვიათია. მერწმუნეთ, რომ ამ ჩამონათვალიდან რეზოს არც ერთი არ ეშლებოდა. იგი განსაკუთრებულად გამოირჩეოდა მეგობრობაში. ამის დასტურია ის, რომ მის ე.წ. „კუხნაში“ ახლაც ინახება „დაბალი სუფრა“ და დაბალი ჯორკო სკამები, რომელთაც მისი მეგობრების სახელები ეწერა – მათ შორის ჩემიც. მასთან როცა მივდიოდი, იგი „კუხნაში“ შეგვიყვანდა და ჩვეული მასპინძლობით უძღვებოდა სახელდახელოდ გაწყობილ სუფრას. იყო სიმღერები, ხუმბრობები, მოგონებები და კაი დროსტარება.

რეზო რამიშვილი 1930 წლის 17 დეკემბერს დაიბადა. დაამთავრა ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლა და ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმი.

სიმღერის მადლი ბაბუამ და მამამ დაუტოვეს, რომელსაც რეზო სათუთად უვლიდა. რეზო ჭეშმარიტი ფოლკლორისტი იყო. იგი ფეხდაფეხ დაჰყვებოდა ანზორ ერქომაიშვილს და აგროვებდა მასალებს გამოჩენილ მომღერლებზე და მგალობლებზე. მათ მიერ მოპოვებული მასალებით გადაიღო ფილმი „შვიდკაცა“ ცნობილმა კინორეჟისორმა სოსო ჩხაიძემ, რომლის გამოშვება სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

რეზო ანსამბლ „ელესას“ აქტიური წევრი იყო, რომელიც ვლადიმერ ერქომაიშვილმა შექმნა. ანსამბლმა გამოუშვა შესანიშნავი ფირფიტა, რომელშიც ერთ-ერთი საუკეთესო ნამღერია „ჩვენ მშვიდობა.“ სიმღერას ორი ტრიო ასრულებს. პირველი ტრიო ამ შემადგენლობისაა: ტრისტან სიხარულიძე, რეზო რამიშვილი, ამირან თოიძე; მეორე ტრიო: ანზორ ტუღუში, ვალერიან ბერიშვილი, ამირან გოლიაძე. როცა გურული სიმღერა მომენატრება – ამ სიმღერით ვტკბები.

რეზო იყო ოზურგეთის რაიონული კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლის წევრი, რომელსაც ვლადიმერ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა. აღნიშნულ ანსამბლთან ერთად რეზო იყო არაერთი რესპუბლიკური თუ საკავშირო ფესტივალზე გამარჯვებული, წარმატებული გასტროლების მონაწილე მოსკოვში, რიგაში, ტალინში, კიშინიოვში და სხვა ქალაქებში.

რეზომ შესანიშნავი ოჯახი შექმნა. ცოლად შეირთო საოცარი ქალბატონი –მერი ჯახუტაშვილი, ეყოლათ ორი შვილი: ლელა და ზაზა. შვილების გაჩენამ კიდევ უფრო გაუმძაფრა სიმღერის სიყვარული. რეზოს სახლიდან ხშირად ისმოდა ჩონგურისა და აკორდეონის ხმები, რომელზეც რეზო შესანიშნავად აწყობდა ხალხურ სიმღერებს.

რეზოს შესანიშნავი იუმორი ჰქონდა. რომელი ერთი გავიხსენო, მაგრამ ერთი განსაკუთრებულად დამამახსოვრა და ჩვენს მკითხველებსაც გავაცნობ:

ერთ დღეს რეზოს მანქანით ვბრუნდებოდით სოფელ მერიიდან. ეს ის დრო იყო მერიის სამხედრო აეროდრომიდან საბრძოლო თვითმფრინავები განუწყვეტლივ რომ დაფრენდნენ ცაში. ერთმა თვითმფრინავმა დაბალ სიმაღლეზე დიდი ხმაურით გადაგვიფრინა ცაზე. რეზომ ავტომანქანა გააჩერა, აიხედა ზევით და შესძახა: „ჰე, მიდი, გაიარე, გაიარე,“ – თითქოს გზა დაუთმო თვითმფრინავს.

რეზომ თავისებური რუსული სიტყვებით თარგმნა ლექსი სიმონა დოლიძეზე. ერთი ასეთი ფრაზა:

„ტყვია ისე დაგვაყარეს,
როგორც სეტყვა და მეხია
გადმოხტომის ხან მესროლეს,
მომტეხეს ორთვა ფეხია...“

რეზოსეული: *„პულია ისე პობრასალი, ტაკ სეტყვა და კაკ მეხია,*
კოგდა პრიგნულ სტრელიალი, სლომალი ორვე ფეხია...“

რეზოს ლაღი ცხოვრება მისი შვილიშვილის, რეზიკოს სიკვდილმა გაყინა, რამაც დიდი დაღი დაასვა მისი მხიარული ცხოვრებას და სიკვდილი დააჩქარა.

წავიდა ჩვენგან სიცოცხლის, სიყვარულისა და სიმღერის შვილი –რეზო რამიშვილი.

ნათელში იყოს მისი სპეტაკი სული!

ტრისტან სიხარულიძე,
ხელოვნების ქურუმი.

ტაეკვანდოელების წარმატება საქართველოს პირველობაზე

3 - 4 დეკემბერს კასპში ოლიმპიურ ტაეკვანდოში პინებსა და კადეტებს შორის საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა.

შეჯიბრში მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ურეკის და ოზურგეთის ტაეკვანდოს სექციის სპორტსმენებმა მიიღეს, საუკეთესოდ იასპარეზეს და შინ ერთი ოქრო და ხუთი ბრინჯაო წამოიღეს.

ოქროს მედლის მფლობელი გახდა **ვიკა ლაბარტყავა** (33კგ);

ოზურგეთელთაგან ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ:

ნიკოლოზ ლაბარტყავა (25 კგ); **ლუკა გურასაშვილი** (33 კგ); **ბუკა გუჯაბიძე** (24 კგ) - III.

ურეკელებიდან კი – **გეგა გობრონიძე** (29 კგ); **ია მჟავია** (37 კგ).

საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა სულ 160 სპორტსმენმა მიიღო.

ოზურგეთელი სპორტსმენები შეჯიბრისთვის **ირაკლი ტუღუშმა** და **გიორგი ბერიძემ** მოამზადეს.

ხუთი მედალი ჩვენია!

2 - 4 დეკემბერს , ქალაქ თბილისში, ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში, ჭაბუკებს შორის მიხეილ სალაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა.

ტურნირზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ჭიდაობის სექციის სპორტსმენებმა წარმატებით ისაპარეზეს და შინ ხუთი მედალი წამოიღეს. გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ ხუთივე ბრინჯაო.

გიორგი ბერიძე (45 კგ);
ლუკა ფიფია (51 კგ);
ლუკა ჯანელიძე (48 კგ);
საბა სირაძე (71 კგ);
საბა მარტივი (92 კგ)

გუნდი შეჯიბრისთვის მწვრთნელებმა : ძმებმა ზურაბიანებმა, ფრიდონ და გურამ აბაშიძეებმა, კობა ბალავინოვმა, ლაშა გუჯაბიძემ , გურამ მაჭარაშვილმა და კახაბერ აბაშიძემ მოამზადეს.

7 დღის ამინდის პროგნოზი


წვიმა +8+14
9 დეკემბერი
ხუთშაბათი

მზე, ღრუბელი +7+16
10 დეკემბერი
პარასკევი

მზე, ღრუბელი +8+17
11 დეკემბერი
შაბათი

მზე, +10+19
12 დეკემბერი
კვირა

მზე, +9+15
13 დეკემბერი
ორშაბათი

მზე, ღრუბელი +8+14
14 დეკემბერი
სამშაბათი

მზე, +6+16
15 დეკემბერი
ოთხშაბათი